მრავალი მკვლევარის მიერ ითვლება, რომ ინსულინრეზისტენტობა მეტაბოლურ სინდრომს საფუძვლად უდევს. ასევე, ბოლო დროს დაგროვდა ინფორმაცია, რომელიც ცხადყოფს მნიშვნელოვან კავშირს შაქრიან დიაბეტ ტიპ 2-სა და ჰიპოგონადიზმს შორის. ამის დასტურია 3 ეპიდემიოლოგიური კვლევა, სადაც დასტურდება ჰიპოგონადიზმი შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის რისკ-ფაქტორად. პროფესორ ჰაფენ-ის [96,97] მიერ 9960 ანალიზირებულ იქნა MRFIT კოფორტა, რომელიც სარწმუნოდ ახდენს ჩვენებას იმ ფაქტისა, რომლის მიხედვითაც შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების რისკი უფრო მაღალია იმ პაციენტებში, რომელთაც დაბალი სექსუემბოჭავი გლობულინი აქვთ. პროფესორ სტელატოსა და თანაავტორების მიერ [26] აღმოჩენილ იქნა, რომ როგორც სექსუემბოჭავი გლობულინის დაბალი დონე, ასევე თავისუფალი ტესტოსტერონის დაბალი დონეც შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის პრედიქტორია. აღნიშნული დასკვნა მიიღეს მრავალჯერადი რეგრესირებადი მოდელის გამოყენებით მასქუსეტის კვლევის დამუშავებისას. თითქმის მსგავსი შედეგი მიიღო პროფესორმა ოპ-მა, 2002 წელს თანაავტორებთან [98] ერთად პროსპექტულ “Rancho Bernardo “ კვლევაში, რომელმაც დაადგინა, რომ დაბალი ტესტოსტერონი შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების მომავალი პრედიქტორია. აღნიშნული 3 კვლევა მიუთითებს, რომ ჰიპოგონადიზმი შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების პრედიქტორია, მაგრამ პათოფიზიოლოგია დღემდე უცნობია. შესაძლოა ინსულინრეზისტენტობაა ამ ორივე პათოლოგიის საფუძველი.

რამდენიმე კვლევა ასევე იძლევა ინფორმაციას ჰიპოგონადიზმის მაღალი მაჩვენებლის შესახებ უკვე დიაგნოსტირებული შაქრიანი

დიაბეტის დროს. პროფესორმა ბარეტ-კონნორ-ის და თანაავტორების მიხედვით (1990) [99] როგორც საერთო ტესტოსტერონი (არ იყო შეწავლილი თავისუფალი ტესტოსტერონი), ასევე სექსუემბოჭავი ცილა - ორივე მაჩვენებელი იყო დაბალი შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ს მქონე პაციენტებში, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. ეს აღმოჩენა დადასტურდა პროფესორ ანდერსონისა და თანაავტორების მიერ [100] დამატებით თავისუფალ ტესტოსტერონთან მიმართებაში. პროფესორ ჩანგის მიერ ნაჩვენებია ტესტოსტერონის სარწმუნო დაქვეითება (არ იყო შეწავლილი თავისუფალი ტესტოსტერონი და სექსუემბოჭავი გლობულინი). არ დაქვეითდა მალუთენინიზირებელი და ფოლიკულმასტიმულირებელი ჰორმონის დონე შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე ასაკოვან პაციენტებში. პროფესორ დინისა და თანაავტორების მიერ [44] 2004 წელს ნაჩვენებია ჰიპოგონადიზმის 33% მაჩვენებელი შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე პაციენტებში. ამას გარდა, ავტორის მიერ ნაჩვენებია ფოლიკულმასტიმულირებელი და მალუთენინიზირებელი ჰორმონების დონის სარწმუნო დაქვეითება ჰიპოგონადურ ჯგუფში, ეუგონადურ ჯგუფთან შედარებით. პროფესორ პითეალუდისა და ავტორების მიერ [48] (2005) ნაჩვენებ იქნა მომატებული ინსულინრეზისტენტობა, რომელიც დაკავშირებული იყო ტესტოსტერონის სეკრეციის დაქვეითებასთან ლეიდიგის უჯრედებში. ეს არ იყო ჰიპოთალამური ან ჰიპოფიზური სისტემის ცვლილებებით გამოწვეული. კვლევები ცხადყოფენ კავშირს შაქრიან დიაბეტი ტიპი 2-სა და ჰიპოგონადიზმს შორის. თუმცა, ეს კავშირი სრულად ახსნილი არ არის და მომავალში უფრო ფართო კვლევების ჩატარებას საჭიროებს.

ტესტოსტერონის თერაპიული ეფექტები ნაჩვენებია შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე ჰიპოგონადიზმით დაავადებულ მამაკაცებში რანდომიზებულ კონტროლირებად ღია კვლევაში პროფესორ ბოიანოვის და თანაავტორების მიერ [101] (2003). სტატისტიკური დამუშავებისას ნაჩვენებია, რომ საშუალო ასაკის მამაკაცებში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით, ვისცერალური სიმსუქნით და ანდროგენ-დეფიციტის სიმპტომატიკით

ტესტოსტერონის თერაპიის ფონზე უმჯობესდებოდა ზემოჩამოთვლილი მდგომარეობები. კერძოდ, პაციენტებს დაუქვეითდა გლუკოზის შემცველობა სისხლში და გლიკოზირებული ჰემოგლობინის დონე ანდროგენ-დეფიციტის სიმპტომების გაუმჯობესების პარალელურად. დაახლოებით ამდგომარეობის მანძილზე ნანახი იქნა კვლევაში, რომელიც მოწოდებულია პროფესორ კაპურის მიერ. ეს კვლევა შემდეგი დიზაინით ჩატარდა - ტესტოსტერონის ინტრამუსკულური ინექცია ყოველ 2 კვირაში 3 თვის მანძილზე 24 ჰიპოგონადიზმის მქონე მამაკაცში შაქრიანი დიაბეტი ტიპი-2-ის მქონე ორმაგად ბრმა, პლაცებო კონტროლირებად ჯვარედინ კვლევაში (1 თვე გამორეცხვის პერიოდი - washout). ავტორის მიერ ნაჩვენებია ტესტოსტერონის თერაპიის გავლენა გლიკემიურ კონტროლზე, ინსულინრეზისტენტობაზე, საერთო ქოლესტერინზე და ვისცერალურ სიმსუქნეზე. აღნიშნულმა კვლევამ ცხადყო, რომ შაქრიანი დიაბეტი ტიპი-2-ის მქონე პაციენტებში ჰიპოგონადიზმით, სავარაუდო სასარგებლო თერაპიული როლი ტესტოსტერონით თერაპიის, მაგრამ ასევე ნაჩვენებ იქნა უმრავლეს კვლევის უარყოფითი მხარე ეგზოგენური ტესტოსტერონის გამოყენების, რაც იყო სპერმატოგენეზის დათრგუნვა. აღნიშნულიდან გამომდინარე დადგინდა, რომ ტესტოსტერონით თერაპია იწვევს ესეთ პაციენტებში ანდროგენდეფიციტის სიმპტომატიკის მოგვარებას, მაგრამ ასევე შესაძლებელია გამოიწვიოს უშვილობა.

1.8 სიმსუქნე, მეტაბოლური სინდრომი და მამაკაცთა უშვილობა

როგორც ცნობილია სიმსუქნე ქალთა უშვილობის ერთ-ერთ მთავარ რისკ-ფაქტორს წარმოადგენს [103]. სიმსუქნე, მამაკაცებში ამცირებს სპერმის როგორც რაოდენობრივ, ასევე სასიცოცხლო მაჩვენებლებს. უმოდრაო ცხოვრების სტილი ზრდის სიმსუქნის გავრცელებას საზოგადოებაში [103]. მიჩნეულია, რომ სიმსუქნე მრავალი დაავადების მიზეზს წარმოადგენს და ასევე არც მამაკაცები წარმოადგენენ გამონაკლის ამ მხრივ. მამაკაცებში სასქესო სისტემის დარღვევის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა სიმსუქნე გახდეს. ბოლო წლების განმავლობაში მეტაბოლური სინდრომი აქტიური განხილვის საგანია; მისი მიზეზი გახდა შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის გავრცელების ზრდა და ასევე კარდიოვასკულური დავადებების მატება. მეტაბოლური სინდრომი შემდეგ დარღვევებს მოიცავს: ჭარბი წონა (ვისცერალური, აბდომინური ცხიმის განაწილება), დისლიპიდემია, ჰიპერტენზია, და დარღვეული ნახშირწყლოვანი ცვლა ინსულინრეზისტენტობით [104].

მამაკაცთა უშვილობის მიზეზი შეიძლება იყოს კრიპტორქიზმი, სათესლეების ტრავმა, ვარიკოცელე, სასქესო სისტემის ინფექციები, ანტისპერმული ანტისხეულები, ჰიპოგონადოტროპული ჰიპოგონადიზმი, გონადების დისგენეზია, გამტარი გზების ობსტრუქცია, და ა.შ. ამ დიდ ჩამონათვალს ასევე დაემატა სიმსუქნე, როგორც მამაკაცთა უშვილობაზე მოქმედი ფაქტორი [105]. მამაკაცთა უნაყოფობა გახდა ასევე ერთ-ერთი მიზეზი მეტაბოლური სინდრომის განხილვისას. მკვლევარები აქტიურად სწავლობენ კავშირს უშვილობას, მამაკაცთა სასქესო ფუნქციის დარღვევასა და მეტაბოლურ სინდრომს შორის [106].

დღეისათვის რამდენიმე კვლევა სიმსუქნისა და სპერმის ხარისხს შორის კავშირს განიხილავს. პროფესორ მაგნუსტოდინისა და თანაავტორებმა [107] შეისწავლეს ცხოვრების წესი და ის ფაქტორები, რომლებიც სპერმის ხარისხზე მოქმედებენ. კვლევის პოპულაცია ხელოვნური განაყოფიერების განყოფილებაში 72 მამაკაცს შეადგენდა. პაციენტები დაიყვნენ 3 ჯგუფად: მამაკაცთა, ქალის და იდიოპათიური უშვილობა. სპერმოგრამა შეფასდა ჯანმოს (1999) კრიტერიუმებით. ავტორების მიერ ნანახი იქნა სიმსუქნის მაჩვენებლის 3-ჯერადი ზრდა მამაკაცთა მიზეზით უშვილობის ჯგუფში სხვა 2 ჯგუფთან შედარებით. ამას გარდა, I ჯგუფის პაციენტებში მნიშვნელოვნად მაღალი იყო სმი (27.8 [218.8-38.9]) ქალთა უშვილობის მიზეზის ჯგუფთან (სმი-25), განსხვავებით მამაკაცთა ჯგუფისა. საინტერესოა, რომ იდიოპათიური და ქალთა უშვილობის არსებული ჯგუფების შედარებისას ავტორებმა აღმოაჩინეს, რომ სმი უარყოფითად კორელირებს სპერმის ხარისხთან და სპერმის რაოდენობრივ მახასიათებლებთან. აღნიშნული მახასიათებელი მამაკაცთა უშვილობის მქონე ჯგუფში არ იყო გამოვლენილი. ასევე მკვლევართა მიერ შეფასდა პაციენტთა სამუშაო აქტივობა, რომელიც დაიყო მჯდომარე (საოფისე), საშუალო (გაყიდვები მენეჯერი), და აქტიური (მუშები). მკვლევართა მიერ ნანახია, რომ პაციენტები, რომლებიც იყვნენ ქალთა უშვილობის და იდიოპათიური უშვილობის ჯგუფში დაყოფილ (სტრატეფიცირებულ) იქნა “დაბალი ნორმის” და “მაღალი ნორმის” სპერმის კონცენტრაციით. პაციენტებს დაბალი ნორმალური სპერმის ხარისხით მჯდომარე სამუშაო ჰქონდათ. მკვლევარების მიერ ეს დაკავშირებულ იქნა სკროტუმის მაღალი ტემპერატურით, რომელიც პირდაპირ კავშირშია უფრო მჯდომარე სამუშაო რეჟიმთან, სიმსუქნესთან შედარებით. ასევე მკვლევართა აზრით ეს შედეგი თავისთავად “საორჭოფო”-ა, რადგან კვლევა იყო შედარებით მცირე პაციენტების რაოდენობით და პაციენტები არ იყვნენ სრულად გამოკვლეული.

აღნიშნულ კვლევაში არსებული ინფორმაცია დასტურდება პროფესორ ფეჯერის და ავტორების მიერ [108] 2000 წელს ჩატარებულ 81

რეპროდუქციული ასაკის უშვილო მამაკაცში. პაციენტთა ასაკი იყო $37(\pm 5.4)$. კვლევიდან გამოირიცხა მამაკაცები უშვილობის დადგენილი მიზეზით, კერძოდ, ისეთი, რომელთაც ჰქონდა ქრ. დაავადებები, რეპროდუქციული ორგანოების დარღვევები, რეპროდუქციული პათოლოგიები, სასქესო ინფექციები. მკვლევართა მიერ შესწავლილ იქნა ანთროპომეტრული მონაცემები, სპერმოგრამის პარამეტრები და რეპროდუქციული ჰორმონები. გამოვლინდა, რომ სპერმის რაოდენობა უარყოფითად კორელირებდა წელის გარშემოწერილობასთან. საერთო სპერმის რაოდენობა უარყოფითად კორელირდება სხეულის წონასთან, წელის გარშემოწერილობასთან და თეძოს გარშემოწერილობასთან. სპერმატოზოიდის მოძრაობა უარყოფითად კორელირებდა წონასთან, წელის გარშემოწერილობასთან და თეძოს გარშემოწერილობასთან. სპერმატოზოიდის სწრაფი პროგრესირებადი მოძრაობა უარყოფითად კორელირდება წელის და თეძოს გარშემოწერილობასთან. ამას გარდა, სმი, წელის და თეძოს გარშემოწერილობა მნიშვნელოვან უარყოფით კორელაციაში იყო ტესტოსტერონთან, ტესტოსტერონი/ესტრადიოლის ფარდობასთან, სექსშემბოჭავ გლობულინთან, მაგრამ არ კორელირდება მალუთეინიზირებელ, ფოლიკულ მასტიმულირებელ ჰორმონებთან და ესტრადიოლის დონესთან. აღნიშნული კვლევა ცხადყოფს, რომ არსებობს პოტენციური კავშირი სიმსუქნეს, ჰიპოგონადიზმსა და უშვილობას შორის.

ასევე, თითქმის იდენტური იყო პროფესორ კორტის და თანაავტორების მიერ [109] ჩატარებული (2006წ) კვლევა, სადაც გაანალიზდა სმი და ტრადიციული სპერმის პარამეტრები (მოცულობა, სპერმის კონცენტრაცია, სპერმატოზოიდების მოძრაობა, სპერმის მორფოლოგია) და ასევე სპერმის ქრომატინის მთლიანობა. შესწავლილ იქნა 520 უნაყოფო მამაკაცი. საშუალო ასაკი 34.6 წელს შეადგენდა. პაციენტები კვლევიდან ირიცხებოდნენ იმ შემთხვევაში, თუკი მათ ჰქონდათ ჩატარებული ოპერაციული ჩარევა სასქესო ორგანოებზე. ასევე შეფასდა სპერმის ხარისხი მოძრავ სპერმატოზოიდში, (მორფოლოგია შესწავლილ იქნა Tygerberg-ის კრიტერიუმით). სპერმის ქრომატინის მდგომარეობა შესწავლილ

იქნა DNA ფრაგმენტაციის ინდექსით. პაციენტები დაიყო სმი-ს მიხედვით კეტლეს ინდექსით, ნორმალური (20-24,9 კგ/მ²), ჭარბი წონა (25-29,9 კგ/მ²), და სიმსუქნის მქონე პაციენტები (>30 კგ/მ²). აღნიშნულ ჯგუფებში შეფასდა სპერმის მდგომარეობა. ავტორების მიერ ნანახი იყო მნიშვნელოვანი უკუკორელაცია სხეულის მასის ინდექსსა და სპერმის მოძრაობის ხარისხს შორის. აღნიშნული დამახასიათებელი იყო ყველა ჯგუფისათვის. ასევე მნიშვნელოვანი კორელაცია იქნა გამოვლენილი ფრაგმენტაციის ხარისხსა და სმი-ს შორის. რაც უფრო მაღალი იყო სმი, მით უფრო მაღალი იყო DNA ფრაგმენტაციის ინდექსი. არ გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავება აღნიშნულ მახასიათებლებს შორის ჭარბი წონისა და სიმსუქნის მქონე პაციენტებში. აღნიშნული 3 კვლევა ადასტურებს სიმსუქნესა და სპერმის მოძრაობის ხარისხს შორის უარყოფით კორელაციას, ხოლო DNA ფრაგმენტაცია და დაზიანება პირდაპირ კორელაციაში სიმსუქნესთან. ეს კი იმის ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ სიმსუქნე რეპროდუქციული ფუნქციის დაქვეითებას იწვევს.

1.8 ცხიმოვანი ქსოვილის, ცხიმოვან ქსოვილში სინთეზირებული ჰორმონების და ანდროგენდეფიციტის ურთიერთკავშირი

საინტერესოა, პროფესორ პაგოტოს და თანავტორების კვლევა [49], რომელიც გვიჩვენებს მაღალ სარწმუნო კორელაციას გრელინის, საერთო და თავისუფალი ტესტოსტერონის დონეებს შორის. როგორც ვიცით, გრელინი ჰორმონია ლეპტინის ჯგუფიდან, რომელიც სინთეზირდება კუჭში და მოქმედებს, როგორც მაძღრობის სიგნალი. ავტორთა მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ კუთხით აუცილებელია კვლევების გაგრძელება რათა დადგინდეს კავშირი და პათოფიზიოლოგიური მექანიზმი ტესტოსტერონის ჩანაცვლებით თერაპიასთან ჰიპოგონადიზმთან და სხეულის ცხიმოვან მასასთან, რომელიც შესაძლოა ნათელს მოფენს გრელინის როლს ცხიმის მეტაბოლიზმში. ორმაგად ბრმა, პლაცებო კონტროლირებადი, ჯვარედინი კვლევის მიხედვით 57-76 წლის 13 მამაკაცში, რომელთაც ეძლეოდა 100 მგ ტესტოსტერონი ყოველკვირეულად, პლაცებოსთან შედარებით, 3 თვის მანძილზე აჩვენა [110] სხეულის სარწმუნო წონის მატება კუნთოვანი მასის ხარჯზე და ცხიმოვანი მასის სარწმუნო კლება. ამდაგვარი შედეგები ნაჩვენებია იგივე დოზით ტესტოსტერონის ინექციისას ჰიპოგონადიზმის მქონე მამაკაცებში, 18 თვის მანძილზე და ტესტოსტერონის გელით მკურნალობისას 6 თვის მანძილზე 9 [111] (1996) და 42 თვის მანძილზე (2004) [112]. ასევე კვლევებით ნაჩვენებია, რომ ცხიმოვანი მასის შემცირება გარკვეულწილად დამოკიდებულია ტესტოსტერონით თერაპიის დოზაზე. ამ კუთხით ჩატარებული ერთერთი კვლევის მიხედვით ავტორებმა აჩვენეს დოზა დამოკიდებული ცვლილება ცხიმოვან და კუნთოვან მასასთან 30 თვის დაკვირვების შედეგად [113]. ასევე ნაჩვენებია, რომ ტესტო-გელის გამოყენებისას მნიშვნელოვნად დაქვეითდა წელის გარშემოწერილობა. ასევე ნაჩვენებია, რომ 160 მგ ტესტოსტერონი ყოველდღიურად ეუგონადურ,

მაგრამ სიმსუქნის მქონე პაციენტებზეც დადებით ეფექტს ახდენს, კერძოდ, სარწმუნოდ დაქვეითდა ცხიმის საერთო მასა, ვისცერალური სიმსუქნე, აბლომინალური ცხიმის საგიტალური ზომა, მაგრამ სარწმუნოდ არ დაქვეითდა კანქვეშა ცხიმოვანი მასა. პროფესორ ბოიანოვისა და ავტორების მიერ [101] ნაჩვენებია, რომ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე პაციენტებში ყოველდღიურად 120მგ ტესტოსტერონი 3 თვის მანძილზე სარწმუნოდ ამცირებდა წონას და სხეულის ცხიმოვან მასას. ამას გარდა, ასევე [114] ნაჩვენებია, რომ წელის გარშემოწერილობა სარწმუნოდ დაქვეითდა შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე პაციენტებში. ასევე ნანახი, რომ ტრანსდერმალური ტესტოსტერონით თერაპია 1 წლის მანძილზე ამცირებდა ვისცერალური ცხიმის დაგროვებას, რომელიც არის მნიშვნელოვანი კომპონენტი გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიის განვითარებაში.

მეტაბოლური სინდრომი და სიმსუქნე ნაწილობრივ ცხიმოვანი მეტაბოლიზმის ნაწილს წარმოადგენენ. საინტერესოა, რომ ახალგაზრდა ჯანმრთელ მამაკაცებში პლაზმის ადიპონექტინის დონე შეიძლება ჩაითვალოს ენდოთელიუმის დისფუნქციის პრედიქტორად, ვასკულარული დარღვევების დაწყებამდე [115]. თითქმის იგივე დასკვნა გამოიტანეს 2004 წელს [116], რომელთაც აჩვენეს, რომ ციტოკინების დონე მომატებული იყო მამაკაცებში ერექციული დისფუნქციით ვასკულური პრობლემების გარეშე. მათ ნორმალური არტერიული წნევა და სისხლმომარაგება ქონდათ. ეს კი დუბლექს ულტრაბეგერთი სკანირებით შემოწმდა. ცოტა ხნის წინ აღმოჩენილ იქნა კავშირი, რომელიც განსაზღვრავს კავშირს ზოგიერთ ციტოკინსა და ტესტოსტერონის დონეს შორის. ასევე ცნობილია, რომ ლეპტინი აქტიურადაა ჩართული ამ რეგულაციაში, კერძოდ, სათესლეების ფუნქციონირებაში [117]. ასევე ნაჩვენებია, რომ ლეპტინი ტესტოსტერონის სეკრაციის ნაწილობრივ ინჰიბირებას ახდენს, ხოლო [118] გრელინი ლეიდიგის უჯრედების დეპრესიას ახდენს. ეს ცირკულირებადი ტესტოსტერონის დონის დაქვეითებას იწვევს. ასევე ამ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოითქვა ვარაუდი, რომ არსებობს

კომპლექსური კავშირი ტესტოსტერონსა და ბიოქიმიურ ფაქტორებს შორის, რომლებიც ჩართულნი არიან სიმსუქნის, მეტაბოლური სინდრომის და გულ-სისხლძარვთა დაავადებების პათოგენეზში.

19 სიმსუქნის, მეტაბოლური სინდრომისა და შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის კავშირი ერექციულ დისფუნქციასთან

მამაკაცებს მეტაბოლური სინდრომით აქვთ ერექციული დისფუნქციის განვითარების გაზრდილი რისკი, რადგან მეტაბოლური სინდრომი კარდიოვასკულურ პრობლემებს ზრდის [78]. ასევე არ არის გამორიცხული, რომ ერექციული დისფუნქცია თავისთავად გარკვეულწილად წარმოადგენს კარდიოვასკულური დაავადებების ერთერთ გამწვავებ მექანიზმს ან რისკ-ფაქტორს. პროფესორ ტომსონისა და თანაავტორების მიერ [119] შესწავლილ იქნა 9000 მამაკაცი პროსტატის სიმსივნის პრევენციის პროგრამაში, სადაც ასევე შეფასდა ჰაზარდის ფარდობა მამაკაცებში ახალი ერექციული დისფუნქციით, როგორც რისკ-ფაქტორი კარდიოვასკულური დაავადებების მომავალი 5 წლის მანძილზე, და მისი მაჩვენებელი იყო 1.45, რაც წარმოადგენს საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს. აღნიშნული მტკიცდება მასალით, რომელიც მოწოდებულია 2006 წელს [69]. 96.5 % შესწავლილ პაციენტებს მეტაბოლური სინდრომით ჰქონდათ ერექციული დისფუნქცია, ხოლო პროფესორ ბანსალისა და თანაავტორების მიერ [58] (2005) შესწავლილ 154 მამაკაცს ორგანული ერექციული დისფუნქციით ჰქონდა 43 %-ში მეტაბოლური სინდრომი. ასევე ამავე პაციენტებში რაც უფრო უარესდებოდა ერექციული დისფუნქცია, მით უფრო მძიმდებოდა მეტაბოლური სინდრომის სიმპტომატიკა. საინტერესოა პროფესორ პაიკის და თანაავტორების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, სადაც ვერ ნახეს სარწმუნო კავშირი ერექციულ დისფუნქციასა და მეტაბოლური სინდრომის სიმძიმეს შორის. ასევე ბანსალის მიერ [58] (2005) ნაჩვენებია, რომ ერექციული დისფუნქციის სიმძიმე დადებითად კორელირებდა მეტაბოლურ სინდრომთან და ინსულინრეზისტენტობასთან.

რადგან ერექციული დისფუნქცია წარმოადგენს პერიფერიულ სისხლძარღვოვან დაავადებას, რაც ნაჩვენებ იქნა ვანგის კვლევაში [112] (2007), აღნიშნულ კვლევაში მეტაბოლური სინდრომი სარწმუნოდ კორელირებდა პერიფერიულ სისხლძარღვოვან დაავადებებთან, განსაკუთრებით პაციენტებში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით და მიკროალბუმინურიით. ერექციული დისფუნქციის გავრცელება მეტაბოლური სინდრომის მქონე მამაკაცებში მატულობს. რაც უფრო მეტია მეტაბოლური სინდრომის შემადგენელი კომპონენტების რაოდენობა 3, 4, ან 5, პაციენტებში, მით მაღალია ერექციული დისფუნქცია 20%, 30% და 45% [120]. რომელიც დადასტურებულია კვლევებით, სადაც მეტაბოლური სინდრომი არის დამოუკიდებელი რისკფაქტორი ერექციული დისფუნქციისა (ჰედლერ, 2007) [122], და ასევე მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორს წარმოადგენს წელის გარშემოწერილობაც, რაც დღეისათვის მიიჩნევა ერექციული დისფუნქციის დამოუკიდებელ რისკ-ფაქტორად.

პროფესორ შაბსიგის მიერ [123] თანაავტორებთან ერთად (2005) კიდევ ერთხელ შესწავლილ იქნა ერექციული დისფუნქციის სიმძიმესა და კომორბიდულ დაავადებებს შორის გავრცელება ეროვნულ მამაკაცთა ჯანმრთელობის შესწავლის პროგრამის ფარგლებში. პაციენტების ასაკი მერყეობდა 20-75 წლის ფარგლებში. ჰიპერტენზია და მაღალი ღონე ქოლესტერინისა გახლდათ ყველაზე მეტად გავრცელებული ერექციული დისფუნქციის სიმძიმესთან. ასევე ავტორთა მიერ ნაჩვენებია, რომ მამაკაცები 70-75 წლის ფარგლებში 14-ჯერ უფრო მიდრეკილნი არიან ერექციული დისფუნქციის განვითარებისაკენ, ვიდრე 20-29 წლის ასაკი. ეს დაკვირვება, კიდევ უფრო ამყარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ანდროგენების დონის კლების ფონზე იზრდება მეტაბოლური სინდრომის გავრცელება. პროფესორ ბანსალისა თანაავტორების მიერ [58] (2005) წელს ასევე ნაჩვენებ იქნა, რომ 154 მამაკაცს ორგანული ერექციული დისფუნქციით 43%-ში ჰქონდათ მეტაბოლური სინდრომი, (ზოგად პოპულაციაში 24%) 79.2%-ში ინსულინრეზისტენტობა, (ზოგად პოპულაციაში 25%), და 90,9% ში ორივე ინსულინრეზისტენტობა და

მეტაბოლური სინდრომი. სავარაუდოა, რომ ერექციული დისფუნქცია, წარმოადგენს რისკ-ფაქტორს, და შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი მაჩვენებელი მეტაბოლური სინდრომისა და ინსულინრეზისტენტობის, ხოლო ორივე წარმოადგენს კარდიოვასკულური დაავადებების რისკ-ფაქტორს. საინტერესოა, რომ უდიდესი ნახტომი მეტაბოლური სინდრომის სიმძიმის ხარისხში მოხდა საშუალო და მძიმე ერექციული დისფუნქციის შემთხვევაში (21.7%-70%). ასევე ავტორთა მიერ [124] ნაჩვენებია, რომ მძიმე ერექციული დისფუნქციის დროს მეტაბოლური სინდრომის ერთ-ერთი კომპონენტი - უზმოდ გლუკოზა გაიზარდა >100 მგ/დღზე.

პროფესორ ზოდისა და თანაავტორების მიერ ერთად დაჯგუფდა ანდროგენდეფიციტი და ერექციული დისფუნქცია და, მეორე მხრივ, მეტაბოლური სინდრომი სმი-ით განსაზღვრული, 158 პაციენტში. ავტორის მიერ გამოვლენილია სარწმუნო სტატისტიკური დამოკიდებულება სმი – სა შემდეგ პარამეტრებთან: სისტოლური არტერიული წნევა, პლაზმის ტესტოსტერონი, სასქესო ასოს დუბლექს სკანილების შედეგები, მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები. სმი-ის ზრდასთან ერთად პროპორციულად იზრდებოდა ჰიპოგონადიზმის სიხშირე და ერექციული დისფუნქცია, ხოლო საერთო ტესტოსტერონმა გამოავლინა მაღალი კორელაციური უკუკავშირი სმი-სთან. ავტორებმა ერექციული დისფუნქციის კავშირის დასადგენად სმი-სთან შეაფასეს მამაკაცები რომელთაც სმი <25 კგ/მ², 13 შესწავლილი მამაკაციდან – 3-ში ანუ 23,1%-ში ვასკულარული ერექციული დისფუნქცია გამოვლინდა, ხოლო მამაკაცებში >25 სმი-ით შესწავლილი 54 მამაკაციდან 59,9%-ში ანუ 32 მამაკაცში დაფიქსირდა ერექციული დისფუნქცია. ასევე პროფესორ კოპელიანის მიერ [53,55] მოწოდებულია მასალა, რომლის მიხედვითაც ერექციული დისფუნქცია მეტაბოლური სინდრომის პრედიქტორს წარმოადგენს.

ყველა მეტაბოლური დარღვევა, რომელსაც მეტაბოლური სინდრომი მოიცავს მოქმედებს სისხლის მიმოქცევაზე, რასაც ჟანგბადის სატურაციის დაქვეითებასთან მიეყავართ, რაც შემდგომში კიდევ უფრო აზიანებს

ქსოვილებს. ავტორების პადმანაბჰანმა და მქუაუმ (2007) აღმოაჩინა [125], რომ პაციენტებს ერექციული დისფუნქციით აქვთ პენილური ღრუბლოვანი სხეულის ოქსიგენური სატურაცია დაქვეითებული, იმ მამაკაცებისაგან განსხვავებით, რომელთაც არა აქვთ ერექციული დისფუნქცია. ასევე რამდენიმე კვლევაში ნაჩვენებია კავშირი ერექციულ დისფუნქციასა და მეტაბოლურ სინდრომს შორის. მათ შორის 3 მნიშვნელოვანი კვლევის დასკვნებია: 1. სექსუალური დისფუნქცია დამოკიდებულია მეტაბოლურ დისფუნქციასთან ქალებისა და კაცებში. 2. დიეტა მოქმედებს ერექციულ დისფუნქციაზე მეტაბოლური სინდრომის მქონე პაციენტებში, 3. მეტაბოლური სინდრომის შემადგენელი კომპონენტების რაოდენობრივი მაჩვენებელი იმავე პოპულაციაში სტატისტიკურად სარწმუნოდ წარმოადგენს ერექციული დისფუნქციის პროცენტულ მაჩვენებელს. პროფესორ ესპესიტოსა და თანაავტორების მიერ [126,127] (2005, 2006) ნაჩვენებ იქნა, რომ დიეტა აუმჯობესებდა ერექციული დისფუნქციის მდგომარეობას მეტაბოლური სინდრომის მქონე პაციენტებში. პაციენტებს აძლევდნენ “ხმელთაშუა ზღვის“ დიეტას, რომელშიც შედიოდა: მცენარეული წარმოშობის ცხიმი, ხილი, ბოსტნეული, და ომეგა 3 მჟავებით მდიდარი საკვები, საკონტროლო დიეტასთან შედარებით. კურსი გრძელდებოდა 2 წელი. აღნიშნულ დიეტაზე მყოფმა ინდივიდებმა აჩვენეს პლაზმის გლუკოზის, პლაზმის ინსულინის, დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების, ტრიგლიცერიდების და სისტოლური წნევის სარწმუნო დაქვეითება, ხოლო მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დონის სარწმუნო მატება. აღნიშნულ დიეტაზე მამაკაცებმა ასევე აჩვენეს სარწმუნო მატება ერექციული ფუნქციის გაუმჯობესების, ერექციული დისფუნქციის საერთაშორისო ინდექსის მიხედვით. ცენტრალური სიმსუქნე წარმოადგენს პრედიქტორს ერექციული დისფუნქციის, აღნიშნული დადასტურებულ იქნა პროფესორ რეიდენის და თანაავტორთა მიერ [123], (2006), რომელმაც აჩვენა, რომ ანთროპომეტრული კვლევის შედეგები წარმოადგენს საუკეთესო პრედიქტორს ერექციული დისფუნქციისათვის სხვა მარკერებთან შედარებით.

როგორც კვლევებიდან ჩანს ჰიპოგონადიზმს, მეტაბოლურ სინდრომს, შაქრიან დიაბეტ ტიპ 2-სა და ერექციულ დისფუნქციას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. პაციენტებს, რომელთაც მეტაბოლური სინდრომი აქვთ, ასევე აქვთ ჰიპოგონადიზმის, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის და ერექციული დისფუნქციის განვითარების მაღალი რისკი. ასევე გასათვალისწინებელია მეტაბოლური სინდრომის მთავარი შემადგენელი კომპონენტი ინსულინრეზისტენტობა, რომელიც შეიძლება თავისთავად მოგვევლინოს როგორც აღნიშნული დარღვევების პრედიქტორი. მეტაბოლური სინდრომი დისლიპიდემიას, ჰიპერგლიკემიას, ჰიპერტენზიას, აბდომინურ სიმსუქნეს, ვასკულურ დარღვევებს, ანთებას, ასევე თრომბოციტარულ ანთებას მოიცავს [129]. ასევე ენდოთელური დისფუნქცია, რომელიც ასოცირებულია დისლიპიდემიასთან, სიმსუქნესთან და შაქრიან დიაბეტ ტიპ 2-თან და ინსულინრეზისტენტობასთან წარმოადგენს ბმულს ერექციული დისფუნქციისათვის. შესაძლოა არსებობდეს კავშირი ინსულინრეზისტენტობასა და ენდოთელურ დისფუნქციას შორის, სადაც ორივე დაკავშირებულია, როგორც მეტაბოლურ სინდრომთან, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-თან და ერექციულ დისფუნქციასთან [130]. ასევე ნაჩვენებია, რომ ჰიპოგონადიზმი ენდოთელური დისფუნქციის დეტერმინანტს წარმოადგენს, რაც სისხლძარღვოვან დარღვევებს და საბოლოოდ ერექციულ დისფუნქციას იწვევს [132]. ანდროგენდეფიციტი დაკავშირებული მეტაბოლური სინდრომთან კიდევ უფრო ამძიმებს ენდოთელურ დისფუნქციას, რაც საბოლოოდ სისხლძარღვების მულტიფაქტორულ დაზიანებას წარმოადგენს [123]. ანდროგენდეფიციტი ენდოთელური დისფუნქციის ერთერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო მეტაბოლური სინდრომისათვის ის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ანდროგენდეფიციტზე გავლენას მრავალი ფაქტორი ახდენს. მაგალითად, როგორიცაა: სიმსუქნე, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2, ჰიპერტენზია და დარღვეული ლიპიდური პროფილი. ცნობილია, რომ ანდროგენები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ჰომეოსტაზის შენარჩუნებაში, აღნიშნულის გამო ანდროგენდეფიციტი იწვევს და

ამყარებს რისკ-ფაქტორებს და პათოფიზიოლოგიურ პროცესებს, რაც საბოლოოდ მეტაბოლურ სინდრომსა და კარდიოვასკულურ დაავადებებს იწვევს. აღნიშნულის დამადასტურებელია კვლევა, რომლის ფარგლებშიც მამაკაცებში ტესტოსტერონით თერაპია სარწმუნოდ აუმჯობესებდა - ლიპიდურ პროფილს, ამცირებდა ცხიმის შემცველობას, აუმჯობესებდა კუნთოვან მასას, ამცირებდა სისხლის წნევას და უზმოდ გლუკოზის დონეს. ეს იმის მინიშნებას წარმოადგენს, რომ ასაკობრივი ანდროგენდეფიციტი და ჰიპოგონადიზმი მეტაბოლური სინდრომის განვითარების რისკს, სისხლძარღვოვან დაავადებებსა და ერექციულ დისფუნქციას ზრდის. ამას გარდა, ცხოვრების ჯანსაღი წესი, რომელიც ასოცირდება დიეტასთან და ფიზიკურ აქტივობასთან თამაშობს დადებით როლს მეტაბოლური სინდრომის რისკის შემცირებაში. აქედან გამომდინარე, ტესტოსტერონით თერაპიამ და ცხოვრების ჯანსაღმა წესმა შესაძლოა სინერგისტული მოქმედებით შეამციროს მეტაბოლური სინდრომი, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2, კარდიოვასკულური დაავადებები და ერექციული დისფუნქცია.

1.10 ანდროგენდეფიციტი, როგორც მედიცინის აქტუალური საკითხი.

ანდროგენდეფიციტი რამდენიმე წლის წინ მედიცინის ერთ-ერთ არაქტუალურ საკითხად ითვლებოდა, მაგრამ დღეისათვის იგი ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ჰოპოგონადიზმის გავრცელება გაცილებით დიდია ვიდრე ეს რამდენიმე წლის წინ მიაჩნდათ. ლეტერატურაში მრავლად მოიპოვება ინფორმაცია ანდროგენდეფიციტისა და მეტაბოლურ დარღვევებს შორის კავშირის შესახებ, ანდროგენდეფიციტის ე.წ. “ბნელი მხარე” დიდი ხანია გასცდა მხოლოდ ტესტოსტერონის ნაკლებობის სიმპტომატიკას. ამას გარდა, არსებობს ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც კავშირშია მეტაბოლურ სინდრომთან, ინსულინრეზისტენტობასთან, შაქრიან დიაბეტ ტიპ 2-თან და სისხლძარღვოვან დაავადებებთან, შესაბამისად ერექციულ დისფუნქციასთან [40,97,44,69,132,133]. ტესტოსტერონის დაბალი დონე ინსულინრეზისტენტობის და შესაბამისად მთელი რიგი დარღვევების ბმულია. როგორც უკვე ცნობილია, ინსულინრეზისტენტობა და შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 წარმოადგენენ ორგანიზმში მნიშვნელოვანი მეტაბოლური დარღვევების მიზეზს. ბოლო წლების მანძილზე, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის გავრცელებამ აქტიურად იმატა. მხოლოდ აშშ-ს მონაცემებით ახალი შემთხვევების რაოდენობამ 1980 წლიდან 2004 წლამდე 15 მილიონს მიაღწია, რაც კიდევ უფრო და უფრო მატულობს [134, 136]. რამდენიმე კვლევის მიერ ნაჩვენებია, რომ პაციენტები დაბალი ტესტოსტერონით მიდრეკილნი არიან შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარებისაკენ და რაც უფრო დაბალია ტესტოსტერონის დონე მით უფრო მაღალია შაქრიანი

ღიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების სიხშირე, რაც იძლევა საშუალებას ტესტოსტერონის დაბალი დონე ჩაითვალოს პრედიქტორად შაქრიანი ღიაბეტი ტიპი 2-ის განვითარებაში [96,136,70] ეს გამოვლინდა პროფესორ დინგის მიმოხილვით კვლევაში [27], (2006), რომლის ფარგლებშიც 43 კვლევის მონაცემებით 6247 მამაკაცის შესწავლით გამოტანილ იქნა დასკვნა, რომ პლაზმაში ტესტოსტერონის მაღალი დონე დაკავშირებული იყო შაქრიანი ღიაბეტი ტიპი-2-ის განვითარების დაბალ რისკთან და პირიქით. თითქმის ამდაგვარი მონაცემები იყო წარმოდგენილი პროფესორ ჰაფნერის მიერ [96] (1996), რომელმაც თვალნათლივ აჩვენა, რომ სექსუალური გლობულინი და ტესტოსტერონის დაბალი დონე გლუკოზის და ინსულინის მაღალი დონის პრედიქტორია, რაც საბოლოოდ წონის აქტიურ მატებას იწვევს. ტესტოსტერონის დაბალი დონე დამახასიათებელია მამაკაცებისათვის შაქრიანი ღიაბეტი ტიპი 2-ითა და ინსულინრეზისტენტობით, პროფესორ სტელატოს და თანაავტორების მიერ [26] ნაჩვენები იქნა, დაბალი ტესტოსტერონი და სექსუალური გლობულინის დაბალი დონე ასრულებს გარკვეულ როლს ინსულინრეზისტენტობისა და შაქრიანი ღიაბეტი ტიპი 2-ის განვითარებაში. პროფესორ ფუკუსა და ავტორთა მიერ [132,133] ნაჩვენებია, რომ პლაზმის ტესტოსტერონის დონე დაბალია იაპონელ პაციენტებში შაქრიანი ღიაბეტი ტიპი 2-ით დაავადებულების დიდ ნაწილში, ჯანმრთელ მამაკაცებთან შედარებით. ავტორთა მიერ გამოთქმული იქნა მოსაზრება ტესტოსტერონით თერაპია ჰიპოგონადულ მამაკაცებში უნდა ამცირებდეს ინსულინრეზისტენტობას და ათეროსკლეროზს. ამ ფართომასშტაბური დაკვირვების შედეგად გამოიტანეს დასკვნა, რომლის მიხედვითაც ანდროგენდეფიციტი მრავალ პათოფიზიოლოგიურ პროცესში მთავარ როლს თამაშობს. ეს იწვევს მეტაბოლური სინდრომის, შაქრიანი ღიაბეტი ტიპი 2-ს, ინსულინრეზისტენტობის, სიმსუქნისა და ერექციული დისფუნქციის განვითარებას.

თაზო 2: გამოკვლევის მასალა და მეთოდები

3. გამოკვლევის მასალისა და მეთოდების ზოგადი დახასიათება

2009 წლის ივნისიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით კვლევაში ჩაერთო 257 პაციენტი, რომელთა ასაკი 30-დან 65 – წლამდე მერყეობდა. პაციენტებს უტარდებოდა შემდეგი გამოკვლევები: თავისუფალი ტესტოსტერონი, ლეპტინი, ბაზალური ინსულინი, გლუკოზისადმი ტოლერანტობის განსაზღვრის ტესტი, ლიპიდური სპექტრი (საერთო ქოლესტერინი, ტრიგლიცერიდები, მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები), ღვიძლის ფუნქციური სინჯები, თირკმლის ფუნქციური სინჯები, პროლაქტინი, მაღუთეინიზირებული ჰორმონი, ფოლიკულმასტიმულირებელი ჰორმონი, თირეოტროპული ჰორმონი და პროსტატსპეციფიური ანტიგენი. აღნიშნული კვლევების ჩატარება მოხდა “ენდოკრინოლოგიის ეროვნულ ინსტიტუტში”.

პაციენტები აღნიშნული კვლევისთვის წინასწარ შეირჩნენ ანდროგენ-დეფიციტის კითხვარის შევსების შემდეგ (Adapted from Morley JE, et al. *Metabolism*. 2000; 49 (9):1239-1242) და ამავე დღეს მოხდა მათი ფიზიკური გამოკვლევა და ვენური სისხლის ნიმუშის აღება. კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები იყო: 10 საათიანი უზმო ინტერვალის დაცვა, სმი - 25.1 - 48.0 კგ/სმ², ასაკი 30-65 წელი, დადებითი ანდროგენდეფიციტის კითხვარი, ინსულინრეზისტენტობა (HOMA-IR >2.7), კვლევიდან გამორიცხვის კრიტერიუმები: ტესტოსტერონის ნორმალური ან მაღალი დონე (>6.0ნგ/დლ), შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1, ჰიპერპროლაქტინემია, სმი<25.1 კგ/სმ² და მეტი >48 კგ/სმ², თირკმლისა და ღვიძლის დაავადებები, პროსტატის II და III

ხარისხის კეთილთვისებიანი აღენომა, თირეოტროპული ჰორმონის დარღვეული დონე, 3-ჯერ მეტი ღვიძლის ფუნქციური სინჯები, პროსტატ სპეციფიური ანტიგენი მაღალი დონე (>4.0), მეორადი ჰიპოგონადიზმი, ტესტოსტერონით ან ტესტოსტერონის სტიმულაციური თერაპიით მკურნალობა სკრინინგამდე 3 თვით ადრე, ჰიპოთალამუსის დაავადებები, ამას გარდა, კვლევაში მონაწილეობას არ იღებდნენ ის პაციენტები, რომლებიც იღებდნენ სიმსუქნის საწინააღმდეგო პრეპარატებს, ან იმყოფებოდნენ დაბალკალორიულ დიეტაზე გამოკვლევამდე 2 თვით ადრე. პაციენტებმა ასევე შეავსეს ერექციული ფუნქციის შეფასების კითხვარი. კვლევის პირობები დააკმაყოფილა შესწავლილი პაციენტებიდან 107-მა პაციენტმა.

2.2 კვლევის კითხვარი:

პაციენტების გამოკითხვა ხდებოდა სპეციალური კითხვარის მეშვეობით. ის იმდენად მარტივი იყო, რომ პაციენტს მისი შევსებათავად შეეძლო. კითხვარი შედგებოდა 1 გვერდისგან, რომელიც 10 შეკითხვას მოიცავდა. კითხვარიდან მივიღეთ შემდეგი სახის ინფორმაცია: დემოგრაფიული, ცხოვრების სტილი (მაგ: თამბაქო, ალკოჰოლი, სხვა მავნე ჩვევები და ა.შ.), დაავადების ანამნეზი და მედიკამენტები, ტესტოსტერონის დეფიციტისათვის დამახასიათებელი სიმპტომების თავისებურება სიმსუქნით დაავადებულ კავკასიელი რასის პაციენტებში.

2.3 ფიზიკალური გამოკვლევა:

2.3.1 არტერიული წნევის განსაზღვრა:

კითხვარის შევსების შემდეგ პაციენტი იმყოფებოდა მინიმუმ 5 წუთი მჯდომარე, მოსვენებულ მდგომარეობაში. შემდეგ ვუსინჯავდით არტერიულ წნევას მარჯვენა ხელზე 3-ჯერ, 2 წუთიანი ინტერვალის დაცვით. კვლევისთვის გამოვიყენეთ სამი გაზომვით მიღებული საშუალო არითმეტიკული ციფრი. არტერიული წნევის გასაზომად ვიყენებდით ავტომატურ სფიგმომანომეტრს – Microlife BPA100.

2.3.2 წონა, სიმაღლე, სხეულის მასის ინდექსი, წელის გარშემოწერილობა:

არტერიული წნევის გასინჯვის შემდეგ ხდებოდა პაციენტების აწონვა და სიმაღლის განსაზღვრა ფეხსაცმელების და ქურთუკის გარეშე. პაციენტების ასაწონად ვიყენებდით სასწორს – TBEC; წონა გამოითვლებოდა კილოგრამებში (კგ). სასწორი გამიზნულად იყო არჩეული, ვინაიდან წონიდა 0,2-200 კგ-მდე წონის ფარგლებში. სიმაღლის განსაზღვრისთვის ვიყენებდით სიმაღლის მექანიკურსაზომს – Seca 240; სიმაღლეს გამოითვლებოდა მეტრებით (მ). სხეულის მასის ინდექსის (სმი) (Quetelet ინდექსს) გამოსათვლელად ვიყენებდით ფორმულას: წონა (კგ)/სიმაღლის² (მ²). სმი-ის მიხედვით გამოყვავით 5 ჯგუფი. ჯგუფები იხილეთ ცხრილში №1.

ცხრილი №1: სხეულის მასის ინდექსი კეტლეს მიხედვით

ჯგუფი	სმი-ის მაჩვენებელი	განსაზღვრება
I	25 – 29.9	ჭარბი წონა
II	30 – 34.9	სიმსუქნე I ხარისხი
III	35 – 39.9	სიმსუქნე II ხარისხი
IV	40 – 44.9	სიმსუქნე III ხარისხი
V	≥ 45	მორბილული სიმსუქნე

წელის გარშემოწერილობას ვზომავდით თეძოს წვეტებსა და მე-12 ნეკნის ქვემო საზღვარს შორის. წელის გარშემოწერილობის საზომ ერთეულად ვიყენებდით სმ-ს. საერთაშორისო მონაცემების თანახმად, მომატებული წელის გარშემოწერილობა დაკავშირებულია კარდიომეტაბოლური დაავადების გაზრდილ რისკთან [137]. წელის გარშემოწერილობის მიხედვით გამოყავით 2 ჯგუფი: I - პაციენტები კარდიომეტაბოლური დარღვევების გაზრდილი რისკით და II – პაციენტები კარდიომეტაბოლური დარღვევების დაბალი რისკით. I ჯგუფში მოხვდნენ მამაკაცები, რომელთა წელის გარშემოწერილობა > 102 სმ-ზე, ხოლო II ჯგუფში კი – მამაკაცები, რომელთა წელის გარშემოწერილობა < 102 სმ.

2.4 სისხლის ნიმუში:

ვენური სისხლის ნიმუშის აღება ხდება 10-12 საათის შიმშილის შემდეგ დილის 9:00-11:00 საათის განმავლობაში; აღებული ნიმუშის ნაწილი ინახებოდა 4°C-ზე. თითოეული პაციენტისთვის ვსაზღვრავდით საერთო ქოლესტერინის, ტრიგლიცერიდების (ტგ), მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინ - ქოლესტერინის (მსლ), დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინ - ქოლესტერინის (დსლ), უზმოდ გლუკოზის, ლექტინის, ბაზალური ინსულინის და თირეოტროპული ჰორმონის დონეს. ისაზღვრებოდა ინსულინრეზისტენტობის ინდექსი (HOMA-IR). ინსულინრეზისტენტობის ინდექსს ვითვლიდით ფორმულით: უზმოდ ბაზალური ინსულინის დონე (mU/mL) + უზმოდ პლაზმის გლუკოზა (mmol/L) გაყოფილი 22,5 [138,139].

ვენური სისხლის ნიმუშის აღების შემდეგ, პაციენტებს უტარდებოდა გლუკოზის მიმართ ტოლერანტობის განსაზღვრის ტესტი. ტესტიდან 2 საათში კიდევ ერთხელ ვიღებდით ვენური სისხლის ნიმუშს პოსტპრანდიალური გლუკოზის განსაზღვრისთვის, რომელსაც ასევე 4°C-ზე ვინახავდით.

გლუკოზის განსაზღვრისთვის გამოვიყენეთ გლუკომეტრი - Accu-Chek Active, Ser No. GC02626832. გლუკოზა ისაზღვრებოდა მგ/დლ-ში.

გლუკოზისადმი ტოლერანტობის განსაზღვრის ტესტის დაწყებამდე კაპილარული სისხლიდან უზმოდ ვსაზღვრავდით გლუკოზის დონეს. 75 გრ. გლუკოზა იხსნებოდა 200 მლ ოთახის ტემპერატურის წყალში და პაციენტს ის 5 წუთის განმავლობაში უნდა მიეღო. დაღვევიდან 1 და 2 საათში კაპილარული სისხლიდან კვლავ ვსაზღვრავდით გლუკოზის დონეს. შედეგების ინტერპრეტაციისთვის, ვიყენებდით ჯანმოს რეკომენდაციებს (ცხრილი №2) [140,141].

ცხრილი №2: ოგტტ ინტერპრეტაციის ჯანმოს რეკომენდაციები

	მაჩვენებელი (მგ/დლ)	ნორმა	ნორმიდან გადახრის მაჩვენებელი (მგ/დლ)
უზმოდ გლუკოზა	< 110		> 110
დატვირთვიდან საათში	1 < 165		> 165
დატვირთვიდან საათში	2 < 140		> 140

ლიპიდური პროფილი მოიცავდა საერთო ქოლესტერინის, ტრიგლიცერიდების, მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებისა და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების განსაზღვრას. ნორმისა და ნორმიდან გადახრის მაჩვენებელი ასახულია ცხრილში №3.

საერთო ქოლესტერინის განსაზღვრისათვის ვიყენებდით “CHOD-PAP” მეთოდს (ქოლესტერინის ფერმენტული კალორიმეტრიული ტესტი ლიპიდების გამწმენდი ფაქტორით [LCF]). ამ მეთოდის მეშვეობით ქოლესტერინის განსაზღვრა ხდებოდა ფერმენტული ჰიდროლიზის და ოქსიდაციის შემდეგ. ინდიკატორი ყალიბდებოდა წყალბადის პეროქსიდის და 4-ამინოფენაზონისგან, ფენოლისა და პეროქსიდაზის თანაარსებობისას. საერთო ქოლესტერინის საზომ ერთეულად ვიყენებდით მგ/დლ. ევროპის ათეროსკლეროზის ასოციაციის რეკომენდაციით ქოლესტერინის დონე უნდა იყოს < 200 მგ/დლ-ზე. საერთო ქოლესტერინს ვსაზღვრავდით “ჰუმან“-ის ფირმის “Cholesterol liquicolor” ტესტ ნაკრებით.

ტრიგლიცერიდებს ვსაზღვრავდით “GPO-PAP” მეთოდით (ტრიგლიცერიდების ფერმენტული კალორიმეტრიული ტესტი ლიპიდების გამწმენდი ფაქტორით [LCF]). ამ მეთოდის მეშვეობით ტრიგლიცერიდების განსაზღვრა ხდებოდა ლიპაზით ფერმენტული ჰიდროლიზის საშუალებით. ინდიკატორი ყალიბდებოდა წყალბადის პეროქსიდის, 4-ამინოანტიპირინის და 4-ქლოროფენოლიდან პეროქსიდაზის კატალიზური ზემოქმედების შედეგად. ტრიგლიცერიდების საზომ ერთეულად ვიყენებდით მგ/დლ-ს. (142). ტრიგლიცერიდების დონეს ვსაზღვრავდით “ჰუმან“-ის ფირმის “Triglycerides liquicolor –mono” ტესტ ნაკრებით.

მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების განსაზღვრისთვის ვიყენებდით “CHOLESTEROL liquicolor” ტესტ ნაკრებს. ქილომიკრონების, ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების განსაზღვრა ხდებოდა სპეციალური მუავის და მაგნიუმის ქლორიდის დამატებით. ცენტრიფუგირების შემდეგ, სითხე შეიცავდა მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ფრაქციებს, რომელთაც ვსაზღვრავდით მსლ-ად “CHOLESTEROL liquicolor” ტესტ ნაკრებით. მსლ-ის საზომ ერთეულად ვიყენებდით მგ/დლ-ს.

დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების გამოსათვლელად ვიყენებდით საერთო ქოლესტერინის, მსლ-ის კონცენტრაციისა და ტრიგლიცერიდების კონცენტრაციას. დსლ-ის განსაზღვრისთვის ვიყენებდით Friedewald et al. მიერ მოწოდებულ ფორმულას [143]: ტრიგლიცერიდები – მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები X ტრიგლიცერიდები/5 (მგ/დლ). მის საზომ ერთეულად ასევე ვიყენებდით მგ/დლ-ს.

ცხრილი №3: ლიპიდური პროფილის ნორმისა და ნორმიდან გადახრის მაჩვენებლები

	ნორმა (მგ/დლ)	ნორმიდან გადახრა (მგ/დლ)

საერთო ქოლესტერინი	< 200	> 200
ტრიგლიცერიდები	< 150	> 150
მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები	> 40 მამაკაცებისთვის > 50 ქალებისთვის	< 40 მამაკაცებისთვის < 50 ქალებისთვის
დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები	< 100	> 100

შრატის ტესტოსტერონის და ლეპტინის დონეს ვსაზღვრავდით “DRG” ფორმის ELISA ნაკრებით, რომელიც ფერმენტით მონიშნული იმუნოსორბენტული კვლევაა და ეფუძნება სენდვიჩის პრინციპს. კვლევის არსი შემდეგში მდგომარეობს: მიკროსინჯარა იფარება მონოკლონური ანტისხეულით, რომელიც მიმართულია ლეპტინის მოლეკულის ანტიგენური უბნისკენ. შემდეგ ისხმევა პაციენტის სისხლის ნიმუში, რომელსაც ემატება კონიუგატის ის ხსნარი, რომელიც შეიცავს ფერმენტით მონიშნულ ანტისხეულს. შედეგად წარმოიქმნება სენდვიჩ-კომპლექსი. მიკროსინჯარის გამორეცხვის შემდეგ მხოლოდ შეკავშირებული ტესტოსტერონი და ლეპტინირჩება. სუბსტრატის დასხმის შემდეგ მიღებული შეფერილობის ინტენსივობა პირდაპირპროპორციულია პაციენტის სისხლის შრატში ტესტოსტერონის და ლეპტინის კონცენტრაციისა. ტესტოსტერონის და ლეპტინის საზომ ერთეულად ნგ/მლ-ს ვიყენებდით.

შრატის ინსულინის დონეს ვსაზღვრავდით “DRG” ფორმის ELISA ნაკრებით, რაც ფერმენტით მონიშნული იმუნოსორბენტული კვლევაა და ეფუძნება სენდვიჩის პრინციპს. კვლევის არსი შემდეგში მდგომარეობს: მიკროსინჯარა იფარება მონოკლონური ანტისხეულით, რომელიც მიმართულია ინსულინის მოლეკულის ანტიგენური უბნისკენ. შემდეგ ისხმევა პაციენტის სისხლის ნიმუში, რომელსაც ემატება კონიუგატის

ხსნარი, რომელიც შეიცავს ფერმენტით მონიშნულ ანტისხეულს, რომელიც არის ანტი-ინსულინური ანტისხეული, კონიუგირებული ბიოტინთან. შედეგად სენდვიჩ-კომპლექსი წარმოიქმნება. მიკროსინჯარის გამორეცხვის შემდეგ მხოლოდ შეკავშირებული კონიუგატი რჩება. მეორე ინკუბაციური საფეხურის დროს, სტრუქტავიდინ პეროქსიდაზასა ფერმენტული კომპლექსი უკავშირდება ბიოტინ-ანტი-ინსულინურ ანტისხეულებს. შეკავშირებული კომპლექსის რაოდენობა ნიმუშში ინსულინის კონცენტრაციის პროპორციულია. სუბსტრატის დასხმის შემდეგ მიღებული შეფერილობის ინტენსიობა პაციენტის სისხლის შრატში ინსულინის კონცენტრაციის პირდაპირპროპორციულია. ინსულინის საზომ ერთეულად $\mu\text{U/ml}$ -ს ვიყენებდით ცხრილი №4.

ცხრილი №4

	ნორმა ($\mu\text{U/ml}$)	ჰიპერინსულინემია
ბაზალური ინსულინი	< 12,5	> 12,5

თირეოტროპული ჰორმონის, მალუთეინიზირებელი ჰორმონის, ფოლიკულ-მასტიმულირებელი ჰორმონის, პროსტატ სპეციფიური ანტიგენი დონეს ELISA მეთოდითვისაზღვრავდით, სადაც ვიყენებდით “ჰუმან“-ის ფორმის ნაკრებს ადამიანის შრატში ზემოაღნიშნული ანალიზების რაოდენობრივი განსაზღვრისთვის. მათი გამოკვლევის მეთოდი კლასიკურ სენდვიჩ “ELISA” ტექნოლოგიას ეფუძნება.

2.5 მეტაბოლური სინდრომის განსაზღვრება:

მეტაბოლური სინდრომის დიაგნოზის დასმა იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუ პაციენტი აკმაყოფილებდა მეტაბოლური სინდრომის 5-დან სულ მცირე 3 კრიტერიუმს. მეტაბოლური სინდრომის კრიტერიუმები აღწერილია Third Adult Treatment Panel (ATP III) ქოლესტერინის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამიდან [National Cholesterol Education Program (NCEP) [144].

დიაგნოსტიკური კრიტერიუმებია:

1. მაღალი არტერიული წნევა (სისტოლური წნევა ≥ 130 მმ.ვწყ.სვ და/ან დიასტოლური ≥ 85 მმ.ვწყ.სვ; მკურნალობის ფონი ან ჰიპერტენზიის უკვე დადასტურებული დიაგნოზი);
2. შრატში ტრიგლიცერიდების მაღალი დონე (≥ 150 მგ/დლ ან მკურნალობის ფონი);
3. დსლ-ქ-ის დაქვეითებული დონე (< 40 მგ/დლ მამაკაცებისთვის და < 50 მგ/დლ ქალებისთვის, ან მკურნალობის ფონი);
4. ჰიპერგლიკემია (უზმოდ გლუკოზის დონე ≥ 110 მგ/დლ);
5. აბდომინური სიმსუქნე (წელის გარშემოწერილობა ≥ 102 სმ) მამაკაცებისთვის.

2.6 გულსისხლძარღვთა დაავადების რისკის განსაზღვრა:

გულსისხლძარღვთა რისკის განსაზღვრა მოხდა D'Agostino et al. შკალის საშუალებით [145]. ამ მეთოდის გამოყენებით გულსისხლძარღვთა დაავადების რისკის განსაზღვრა ხდება, მათ შორის: ეს პროფილი არის სქესზე დამოკიდებული და ითვალისწინებს ასაკს, საერთო ქოლესტერინს, მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინ-ქოლესტერინს, სისტოლურ არტერიულ წნევას, ანტიჰიპერტენზიულ მკურნალობას, თამბაქოს მოწევას და დიაბეტურ სტატუსს.

2.7 მასალის სტატისტიკური ანალიზი:

მონაცემების მოწოდება მოხდა საშუალო \pm სტანდარტული გადახრით (სდ) მუდმივი ვარიანტისათვის და n (%) ვარიანტისთვის. კლინიკური მახასიათებლების შედარება ხდებოდა ერთგზის ANOVA-თი მუდმივი ვარიანტისთვის და Chi-square ან Fisher-ის ზუსტი ტესტი ვარიანტისთვის. Spearman-ის კორელაცია ჩატარდა თითოეული ჯგუფისათვის, რათა დაგვედგინა კავშირი ტესტოსტერონის დონესა და კარდიომეტაბოლურ რისკ-ფაქტორებს შორის. ზოგადი ხაზობრივი მოდელის ანალიზი გამოვიყენეთ, რომ გამოგვეჩვენა კავშირი ლეპტინის დონესა და კარდიომეტაბოლურ რისკ-ფაქტორებს შორის. ამას გარდა, ლოგისტიკური რეგრესიის მოდელი გამოვიყენეთ, რათა გამოგვეჩვენა კავშირი თავისუფალი ტესტოსტერონის დონესა და მეტაბოლურ სინდრომის შემადგენელ კომპონენტებს შორის, ასაკთან, თამბაქოსთან და სმი-თან. სტატისტიკური ანალიზისთვის გამოვიყენეთ SPSS 20.0 ვერსია (SPSS, Inc., Chicago, IL). P-value < 0.05 მიჩნეულია, როგორც სტატისტიკურად სარწმუნო.

თაზი 3: ბამოკვლევის შედეგები

2009 წლის ივნისიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით კვლევაში ჩაერთო 257 პაციენტი, რომელთა ასაკი 30-დან 65-წლამდე მერყეობდა. აქედან კვლევის ჩართვა/გამორიცხვის კრიტერიუმები დააკმაყოფილა 107 პაციენტმა, 107 პაციენტი გადაყვანილ იქნა კვლევის აქტიურ ფაზაში.

პაციენტების საშუალო ასაკი 46 წელს შეადგენდა (ცხრილი №5)

ცხრილი №5: საკვლევი პოპულაციის ასაკობრივი მახასიათებლები:

ასაკი		
N	პაციენტი	107
საშუალო		46.72897
მინიმალური		37
მაქსიმალური		65

პაციენტების სმი წარმოადგენდა 25.50 კგ/მ²-დან და ყველაზე დიდი სმი შეადგენდა 45.10 კგ/მ²-ს. საშუალო სმი ყველა პაციენტისთვის 35.69 კგ/მ² იყო (ცხრილი №6).

ცხრილი № 6: საკვლევი პოპულაციის სმი მახასიათებლები:

სმი		
N	პაციენტი	107
საშუალო		35.69
მინიმალური		25.50
მაქსიმალური		45.10

პაციენტების თავისუფალი ტესტოსტერონის დონე მერყეობდა 0.36 ნგ/მლ-დან 6.09 ნგ/მლ-მდე. საშუალო თავისუფალი ტესტოსტერონის ყველა პაციენტისთვის იყო 4.29 ნგ/მლ (ცხრილი №7).

ცხრილი №7: საკვლევი პოპულაციის თავისუფალი ტესტოსტერონის მახასიათებლები

თავისუფალი ტესტოსტერონი		
N	პაციენტი	107
საშუალო		4.29
მინიმალური		0.36

მაქსიმალური		6.09
-------------	--	------

პაციენტების ინსულირეზისტენტობის ინდექსი ანუ HOMA-IR-ის დონე მერყეობდა 2.72-დან 5.87 -მდე. საშუალო ყველა პაციენტისთვის იყო 3.92 (ცხრილი №8).

ცხრილი № 8: საკვლევი პოპულაციის HOMA-IR მახაშიათებლები

HOMA-IR		
N	პაციენტი	107
საშუალო		3.92
მინიმალური		2.72
მაქსიმალური		5.87

პაციენტების ლეპტინის დონე მერყეობდა 9.01-დან 41.70-მდე. საშუალო ლეპტინის ყველა პაციენტისთვის იყო 19.6 (ცხრილი №9).

ცხრილი № 9: საკვლევი პოპულაციის ლეპტინის მახასიათებლები

ლეპტინი		
N	პაციენტი	107
საშუალო		19.6
მინიმალური		9.01

მაქსიმალური		41.70
-------------	--	-------

პაციენტების ქოლესტერინის დონე მერყეობდა 178 მგ/დლ -დან 242 მგ/დლ-მდე. საშუალო ქოლესტერინის ყველა პაციენტისთვის იყო 210.66 (ცხრილი №10).

ცხრილი № 10: საკვლევი პოპულაციის ქოლესტერინის მახასიათებლები

ქოლესტერინი		
N	პაციენტი	107
საშუალო		210.66
მინიმალური		178
მაქსიმალური		242

პაციენტების ტრიგლიცერიდების დონე მერყეობდა 154 მგ/დლ-დან 210 მგ/დლ-მდე. საშუალო ტრიგლიცერიდების ყველა პაციენტისთვის იყო 184 (ცხრილი №11).

ცხრილი № 11: საკვლევი პოპულაციის ტრიგლიცერიდების მახასიათებლები

ტრიგლიცერიდები		
N	პაციენტი	107
საშუალო		184

მინიმალური		154
მაქსიმალური		210

პაციენტების HDL დონე მერყეობდა 42 მგ/დლ -დან 65 მგ/დლ-მდე. საშუალო HDL ყველა პაციენტისთვის იყო 54.32 მგ/დლ (ცხრილი №12).

ცხრილი № 12: საკვლევი პოპულაციის ქოლესტერინის მახასიათებლები

HDL		
N	პაციენტი	107
საშუალო		54.32
მინიმალური		42
მაქსიმალური		65

პაციენტების LDL დონე მერყეობდა 80 მგ/დლ -დან 126 მგ/დლ-მდე. საშუალო LDL ყველა პაციენტისთვის იყო 102.47 მგ/დლ (ცხრილი №13).


ცხრილი № 13: საკვლევი პოპულაციის ქოლესტერინის მახასიათებლები

LDL		
N	პაციენტი	107
საშუალო		102.47
მინიმალური		80
მაქსიმალური		126


ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა კორელაციის გამოვლენა თავისუფალ ტესტოსტერონს, სიმსუქნეს, ინსულინრეზისტენტობას, ლეპტინსა და ლიპიდურ ცვლას შორის. ამასთან საინტერესოა ყველა საკვლევი მახასიათებლის კორელაცია ერთმანეთთან. ცალ-ცალკე განვიხილავთ თითოეული მათგანის კორელაციას

გამოვლინდა თავისუფალი ტესტოსტერონის უარყოფითი კორელაცია: სმისთან ($p < 0,012$), ქოლესტერინთან ($p < 0,045$), ტრიგლიცერიდებთან ($p < 0,060$), დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებთან ($p < 0,0144$), ხოლო დადებითი კორელაცია კი გამოვლინდა მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებთან ($p < 0,004$). არ გამოვლინდა თავისუფალი ტესტოსტერონის სარწმუნო კორელაცია HOMA-IR ინდექსთან ($p < 0,238$), ლეპტინთან ($p < 0,166$). იხილეთ თანდართული გრაფიკები (1-7).


გრაფიკი №1: კორელაციური კავშირი სმი-სა და თავისუფალ ტესტოსტერონს შორის




გრაფიკი №2: კორელაციური კავშირი ინსულინრეზისტენტობასა და თავისუფალ ტესტოსტერონს შორის




გრაფიკი №3: კორელაციური კავშირი ლეპტინსა და თავისუფალ ტესტოსტერონს შორის




გრაფიკი №4: კორელაციური კავშირი ქოლესტერინსა და თავისუფალ ტესტოსტერონს შორის




გრაფიკი №5: კორელაციური კავშირი ტრიგლიცერიდებსა და თავისუფალ ტესტოსტერონს შორის



გრაფიკი №6: კორელაციური კავშირი მაღალი სიმკვრისვის
ლიპოპროტეიდებსა და თავისუფალ ტესტოსტერონს შორის




გრაფიკი №7: კორელაციური კავშირი დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდებსა და თავისუფალ ტესტოსტერონს შორის




სმი უარყოფით კორელაციაში იმყოფებოდა: თავისუფალ ტესტოსტერონთან ($p < 0,012$), მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებთან ($p < 0,032$), და დადებით კორელაციაში იმყოფებოდა: დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებთან ($p < 0,066$). სმი-ის სარწმუნო კორელაცია არ გამოვლინდა HOMA-IR ინდექსთან ($p < 1,644$), ლეპტინთან ($p < 0,263$), ქოლესტერინთან ($p < 0,203$), ტრიგლიცერიდებთან ($p < 0,120$). იხილეთ თანდართული გარფიკები (8-13).


გრაფიკი №8 კორელაციური კავშირი სმი-სა და თავისუფალ ტესტოსტერონს შორის




გრაფიკი №9: კორელაციური კავშირი სმი-სა და ინსულინრეზისტენტობას შორის




გრაფიკი №10: კორელაციური კავშირი სმი-სა და ლეპტინს შორის




გრაფიკი №11: კორელაციური კავშირი სმი-სა და ქოლესტერინს შორის



გრაფიკი №12: კორელაციური კავშირი სმი-სა და ტრიგლიცერიდებს შორის




გრაფიკი №13: კორელაციური კავშირი სმი-სა და დაბალი სინკურისვის ლიპოპროტეიდებს შორის




HOMA-IR დადებითად კორელირებდა ქოლესტერინთან ($p < 0,039$), ტრიგლიცერიდებთან ($p < 0,088$). ხოლო არ გამოვლინდა HOMA-IR სარწმუნო კორელაცია ლეპტინთან ($p < 0,167$), სმი-თან ($p < 1,644$), თავისუფალ ტესტოსტერონთან ($p < 0,38$), დაბალი ($p < 0,120$) და მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებთან ($p < 8,81$). იხილეთ თანდართული გრაფიკები (14-20).


გრაფიკი №14: კორელაციური კავშირი ინსულინრეზისტენტობასა და თავისუფალ ტესტოსტერონს შორის




გრაფიკი №15: კორელაციური კავშირი სმი-სა და ინსულინრეზისტენტობას შორის




გრაფიკი №16: კორელაციური კავშირი ინსულინრეზისტენტობასა და ლეპტინს შორის




გრაფიკი №17: კორელაციური კავშირი ინსულინრეზისტენტობასა და ქოლესტერინს შორის




გრაფიკი №18: კორელაციური კავშირი ინსულინრეზისტენტობსა და ტრიგლიცერიდებს შორის



გრაფიკი №19: კორელაციური კავშირი ინსულინრეზისტენტობასა და მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდებს შორის



გრაფიკი №20: კორელაციური კავშირი ინსულინრეზისტენტობასა და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდებს შორის




სმი კორელაცია დადებითი იყო თითქმის ყველა საკვლევი მახასიათებელთან, გარდა HOMA-IR და ლეპტინისა. ყველაზე ძლიერი კავშირი იყო თავისუფალ ტესტოსტერონთან ($p<0,012$), შემდეგ მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებთან ($p<0,032$) და ბოლოს დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებთან იყო ($p<0,066$).

თავისუფალი ტესტოსტერონი დადებითად კორელირებდა ყველა საკვლევი მახასიათებელთან, გარდა HOMA-IR ინდექსისა ($p<0,238$), ლეპტინის ($p<0,166$) სმი-ს ($p<0,012$), ქოლესტერინის ($p<0,045$), ტრიგლიცერიდების ($p<0,060$), დაბალი ($p<0,0144$) და მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებისა ($p<0,004$). სარწმუნო კორელაცია დაფიქსირდა მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებთან ($p<0,004$). ასევე სმი-თან ($p<0,012$), დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებთან ($p<0,0144$) და ქოლესტერინთან ($p<0,045$).

